ლმეურნეთა IV საკავშირო ყრილობა.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ე. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, დ. ტ. იაზოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ო. დ. ბაკლანოვს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს.**

ყრილობა კოლმეურნეთა საკავშირო საბჭოს დავალებით გახსნა **ნ. ნ. გოლოვაცკიმ** — ყაზახეთის სსრ ტალდი-კურგანის ოლქის პანფილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წლისთავის“ თავმჯდომარემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **მ. ს. გორბაჩოვი.**

(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მარტი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 58 (9725) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თბილისელთა სამეული ჩემპიონია!

1985 წელს თბილისის სპორტის სასახლეში ჩვენმა აკრობატებმა ნატალია ანისიმოვამ, ინგა გიორგობიანმა და მარინა შალაშვილმა ჯგუფურ ვარჯიშში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. და აი, სამი წლის შემდეგ ქალაქ ნიკოლაევში ჩვენი გოგონები მეორედ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე (თუმცა ამჯერად შალაშვილის ადგილი დაიკავა სვეტლანა მაკარიჩევამ). ნიკოლაევში ასევე ჯგუფურ ვარჯიშში ვერცხლის მედლები მოიპოვეს ემზარ აბუაშვილმა, ვაჟა არაყიშვილმა დიმიტრი კარტოზიამ და ნიკოლოზ მჭედლიძემ. ჩემპიონატში ჩვენი აკრობატების გამოსვლის დაწვრილებით ანგარიშს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**სურათზე: ნატალია ანისიმოვა, სვეტლანა მაკარიჩევა და ინგა გიორგობიანი.**

# პროტექციონიზმის მავნეობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი, რომლის შესახებ ვრცელი მასალა გუშინ გამოქვეყნდა პრესაში.

პროტექციონიზმი ყველა საქმეში რომ დამღუპველია, ეს არაერთგზის დაუმტკიცებია თვით ცხოვრებას. პროტექციონიზმის გამოვლენის ნებისმიერი ფორმა განსაკუთრებით მოუთმენელია დღეს, როცა ყველგან და ყველაფერში მკვიდრდება დემოკრატიზმი და საჯაროობა. „პროტექციონიზმი კვლავინდებურად ახდენს უარყოფით გავლენას რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მდგომარეობაზე“. გვხვდება თუ არა იგი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში? ჩვენს სფეროში დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპების დამკვიდრება დაიწყო და არ შენელებულა. ღია კენჭის ყრით აირჩიეს ბევრი სპორტული მუშაკი ცალკეულ რგოლში. ასეთი მეთოდით ხელმძღვანელთა არჩევის პრინციპი გრძელდება. მაგრამ ყველაფერში როდი გვაქვს წესრიგი, განსაკუთრებით ეს ითქმის სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატებაზე, სადაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს პროტექციონიზმის მავნეობა. პროტექციონიზმი გზას უხსნის უფრო ნიჭიერს თავის ადგილი დაიმკვიდროს ნაკრებ გუნდშიც კი. ფეხბურთში იყო მავნე პრაქტიკა, როცა მშობლები, შინ თუ გარეთ, გავლენიანი პირების ზეგავლენით ცდილობდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდში ჩაერიცხათ თავიანთი შვილები. ეს რეციდივები მეტნაკლებად ახლაც იჩენს ხოლმე თავს. ხდება — მოზარდს ქვეყნის ნაკრებ გუნდში იძახებენ მაშინ, როცა ჯერ შინ საამისო წარმატებისთვის არ მიუღწევია. პროტექციონიზმის ეს მავნე შედეგი გულს უტეხს თანაგუნდელებს, იწვევს მითქმა-მოთქმას. საბოლოოდ, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ზიანს აყენებს ქართულ სპორტს. დიახ, სპორტში თითქოს ერთი შეხედვით ძალზე უმნიშვნელო პროტექცია წარმოუდგენელი ზარალით გვიბრუნდება. არ დავმალავთ, რედაქციაშიც ხშირად გვაწუხებენ და გვთხოვენ დავეხმაროთ შვილის თუ ახლობლის უფრო ძლიერ გუნდში გადაყვანაში, ზოგჯერ ისეთშიც კი, რომელიც ამ ბავშვის ასაკს არ შეეფერება. პროტექციონიზმმა განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ცურვაში. ახლა ყველამ ვიცით სადამდე მივედით სპორტის ამ სახეობაში — იხარჯება უამრავი სახსრები, შედეგები კი არ ჩანს. აი, სადამდე მივყავართ პროტექციონიზმს, რაც ხშირად მშობელთა და მწვრთნელთა შორის ანგარიშსწორებასთანაც არის დაკავშირებული. პროტექციონიზმი აფერხებს ჩვენს რესპუბლიკაში აგრეთვე ჩოგბურთელთა და წყალბურთელთა აღზრდა-დაოსტატებას. ეს საზოგადოებრივი აზრი გახლავთ, რომელიც არ შეიძლება არ გავიზიაროთ. პროტექციონიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. მოურიდებლად უნდა ვამხილოთ პროტექციონიზმის ყველა ფაქტი, ამას ქართული სპორტის ინტერესებიც მოითხოვს.

# საპატიო წოდების მინიჭება

**საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში წვლილისათვის მიენიჭათ „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება:

**შოთა დავითის ძე ბუაძეს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, **ანატოლი ვლადიმერის ძე კალინინს** — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს.



სურათზე: ა. დემიანენკო „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზით.

# „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზი

**კიევში,** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში 19 მარტს ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი **„დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“.**

სწორედ ამ დღეს საზეიმო ვითარებაში მასპინძლებს გადაეცათ ახალი ჯილდო — „მაყურებელთა სიმპათიის პრიზი“, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციამ დააწესა. ამ პრიზით ჯილდოვდება გუნდი, რომლის თამაშებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრება, შარშანდელ ჩემპიონატში კი ეს იყო კიევის „დინამო“.

„ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორმა ვ. ანასტასიადიმ ორიგინალურად გაფორმებული პრიზი გადასცა კიევის „დინამოს“ კაპიტანს ა. დემიანენკოს. კიევის რესპუბლიკური სტადიონი კარგად მოემზადა წლევანდელი სეზონისთვის, აქ სპეციალური სექტორებია გამოყოფილი ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის წევრებისთვის, მათთვის დაამზადეს შეღავათიანი აბონემენტები, უამინდობის დროს მინდორს ფარავენ ტროსებზე დაჭიმული პოლიეთილენის საფარით, ტაიმებს შუა ტელემაყურებლებს სთავაზობენ აქტუალურ ინტერვიუს, სპეციალისტები კომენტარს უკეთებენ მიმდინარე მატჩს.



# მესამე საერთაშორისო

**თბილისის** სპორტის სასახლეში 25-27 მარტს გაიმართება ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სახელოვანი ქართველი სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კიკნაძის ხსოვნას ეძღვნება. ეს იქნება რიგით მესამე შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გდრ-ის, უნგრეთის, ბულგარეთის, გფრ-ის, ესპანეთის ჭაბუკი ძიუდოისტები. ჩვენი ქვეყნის ნაკრები 60 სპორტსმენს გამოიყვანს, ხოლო მასპინძლები, ქართველი ძიუდოისტები 5 შემადგენლობით ჩაებმებიან ტურნირში.

შეჯიბრების განრიგი ასეთია: 25 და 26 მარტს შეხვედრები ჩატარდება 11 და 18 საათზე. 27 მარტს —11 და 17 საათზე.

ტურნირის მთავარი მსაჯია ორგზის მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულური.

**პრესკონფერენცია და ჟურნალისტთა აკრედიტაცია ჩატარდება დღეს 18 საათზე, სპორტის სასახლეში.**

# „მაღალი საზოგადოებისაკენ“ გზა ხსნილია

**ახლახან** კანადის ქალაქ რეჯაინში შედგა ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაციის (იბა) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატისა და სადემონსტრაციო ოლიმპიური ტურნირის ჩატარებასთან, განიხილეს საბჭოთა კავშირის განაცხადიც ამ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციაში შესვლის თაობაზე.

სხდომის დასასრულს იბა-ს პრეზიდენტმა ბობ სმითმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი გახდა ასოციაციის სრულუფლებიანი, რიგით 65-ე წევრი.

ამ ამბავმა ფართო გამოხმაურება გამოიწვია სპორტულ სამყაროში, ხოლო თვით ბობ სმითმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ეს იყო „სიამაყის მომენტი ბეისბოლისტთა საერთაშორისო ოჯახის თითოეული წევრისთვის“. შემთხვევითია თუ არა იბა-ს რიგებში სსრ კავშირის შესვლის ამგვარი შეფასება? ამის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სსრ კავშირის ბეისბოლის, სოფტბოლისა და რუსული რიკაობის ფედერაციის თავმჯდომარეს რამაზ გოგლიძეს, რომელიც იბა-ს აღმასკომის მუშაობაში მონაწილეობდა.

— ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ არის და, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ დღეს მსოფლიოში გაზრდილ ინტერესს იჩენენ ყველაფრის მიმართ, რაც ჩვენს ქვეყანასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, იბა-ს აღმასკომის სხდომა ჩატარდა სულ რაღაც რამდენიმე დღეში ზამთრის XV თამაშების დამთავრებიდან, როცა დასავლეთის პრესა ჯერ კიდევ აქვეყნებდა 1988 წლის თეთრი ოლიმპიადის შედეგების კომენტარებს და აღნიშნავდა ამ ასპა-



იხ. მე-2 გვ.

# გ. ანთაძის თასზე

**ბათუმში** დაიწყო სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ანთაძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობს 6 გუნდი: უზბეკეთის ნაკრები, სომხეთის ნაკრები, „დინამო“ (ბათუმი), თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა, აგრეთვე, საქართველოს ორი ნაკრები, რომლებიც 1971 და 1972 წელს დაბადებული ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული.

პირველი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: საქართველოს ნაკრები (1971 წ.) — „დინამო“ (ბათუმი) 4:0, საქართველოს ნაკრები (1972 წ) — 35-ე სკოლა 6:0, უზბეკეთის ნაკრები — სომხეთის ნაკრები 1:1. შეჯიბრების ორგანიზატორია ბათუმის კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭო.

# გავზარდოთ სპორტული საქონლის წარმოება, ავამაღლოთ მისი ხარისხი

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1988 წ.) პლენუმზე აღინიშნა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის სუსტი განვითარება, მათ შორის მოსწავლე ახალგაზრდობაში, ბევრადაა განპირობებული მოსახლეობის სპორტული და ტურისტული საქონლით არასათანადო მომარაგებით, მისი დაბალი ხარისხით.

22 მარტს ამხანაგებმა ე. კ. ლიგაჩოვმა, ო. დ. ბაკლანოვმა, ა. პ. ბირიუკოვამ, მოსკოვში დაათვალიერეს სპორტული და ტურისტული აღჭურვილობის გამოფენა. კრიტიკულად გააანალიზეს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მუშაობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

გამოფენაზე გამართულ თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე მ. ვ. გრამოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ა. ბესპალოვი, ნ. ვ. ლემაევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. კ. ლიგაჩოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ამ ხუთწლედის ორ წელიწადში თითქმის ორჯერ გაიზარდა საკროსო ფეხსაცმლის წარმოება, 22 პროცენტით — სატრიკოტაჟო ნაწარმი. უფრო მეტს უშვებთ ზოგიერთ სხვა საქონელს, ამასთან ერთად სპორტულ ინდუსტრიასთან წილნაყარ სამინისტროებსა და უწყებებს ჯერაც არ მიუღიათ გადამწყვეტი ზომები ყველა ამოცანის შესასრულებლად სპორტული საქონლის გამოშვების გადიდებისათვის. ბოლო ორ წელიწადში ყოველი მეორე დასახელების ნაკეთობათა წარმოების გეგმები ჩაშლილია.

მოთხოვნილება აშკარად უსწრებს ნაწარმის გადიდებას. სპორტული, ტურისტული საქონელი, განსაკუთრებით მაღალი ხარისხისა, ქალაქებსა და სოფლებში დეფიციტად იქცა, მაღაზიებში მათი შეძენა ჭირს, ზოგჯერ კი ეს შეუძლებელიცაა. ამგვარად, ამ პრობლემის გადასაჭრელი ძირფესვიანი გარდატეხა ჯერ არ მომხდარა.

ერთ-ერთი მიზეზი სათანადო მოცულობის აუცილებელი ნედლეულის ნაკლოვანებაა. ამასთან დაკავშირებით თათბირზე გააკრიტიკეს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის, სსრ კავშირის ქიმიის მრეწველობის, სსრ კავშირის ნავთობქიმმრეწვის სამინისტროების ხელმძღვანელები, რომლებიც ამუშავებენ სპორტული ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავგალანტერეის გამოსაშვები უმაღლესი ხარისხის ნედლეულის წარმოების გაფართოების კომპლექსურ პროგრამას და მუშაობენ ცუდად, უინიციატივოდ. სსრ კავშირის ტყისმრეწველობის სამინისტრომ მოსახლეობას დააკლო თხილამურების მნიშვნელოვანი რაოდენობა. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო მოუქნელად იყენებს სასაქონლო რესურსებს, რაც ზოგიერთ რეგიონში ამძაფრებს ამა თუ იმ საქონლის დეფიციტს, თუმცა ქვეყანას იგი საკმარისად აქვს. უფრო ენერგიულად უნდა მოქმედებდეს სსრ კავშირის სპორტსახკომთან არსებული დარგთაშორისი საბჭო.

აღინიშნა, რომ სპორტული და ტურისტული საქონლის დანიშნულების წარმოებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. თუ ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვასა და სომხეთში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 45-65 მანეთის სპორტსაქონელს უშვებენ, უკრაინაში მხოლოდ 26 მანეთისა გამოდის, უზბეკეთში — 11 მანეთის. ამ მაჩვენებლის სიჭრელე დამახასიათებელია რუსეთის ფედერაციისათვისაც: პერმისა და ტამბოვის ოლქებში შესაბამისად 65 და 57 მანეთი, ჩელიაბინსკისაში — 19, კემეროვოში კი საშუალოდ მხოლოდ 7 მანეთის პროდუქცია მოდის მოსახლეზე.

ე. კ. ლიგაჩოვმა აღნიშნა, რომ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან მნიშვნელოვნად გააძლიერონ საორგანიზაციო მუშაობა და კონტროლი იმ სპორტული დანიშნულების საქონლის გამოსაშვებად, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში. ამასთან ერთად, ეს უნდა განვიხილოთ როგორც მინიმალური ამოცანები და მხოლოდ მათ გადიდებაზე შეიძლება დავაყენოთ საკითხი. საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი პერსპექტიულ საკითხთა გადაწყვეტას, პირველ რიგში უზრუნველვყოთ ნედლეულის წარმოება მაღალხარისხოვანი სპორტული საქონლისა და ინვენტარის მასობრივი გამოშვებისათვის. კერძოდ, სსრ კავშირის ქიმმრეწვის სამინისტრომ რუბეჟანსკის საწარმოო გაერთიანება „კრასიტელში“ უნდა უზრუნველყოს პოლიურეტანის გამოშვება სპორტული ფეხსაცმლის დასამზადებლად, კემეროვოში აამუშაოს ფეხსაცმლის დასამზადებელი პლასტიკატის საამქრო, თავის საწარმოებში გააფართოვოს მალელასტიკური ძაფის გამოშვება ახალი ტრიკოტაჟისა და სამკერვალო პროდუქციისათვის. სსრ კავშირის ნავთობქიმიის სამინისტრომ ყაზანის სინთეთიკური კაუჩუკის ქარხანაში აამოქმედოს კომპლექსი აგრეთვე პოლიურეტანისა და თანამედროვე ფეხსაცმლის გამოშვებისათვის.

აუცილებელია ახალ საწარმოებს დროულად მივაწოდოთ მაღალეფექტური აღჭურვილობა და მოვახდინოთ მოქმედი დანადგარების რეკონსტრუქცია.

გამოფენის დათვალიერებასა და საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. კ. გუსევი, ვ. მ. კამენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. გ. აფონინი, ო. ს. ბელიაკოვი, ლ. ფ. ბობიკინი, ა. ი. ვოლსკი, ა. გ. მელნიკოვი, ი. ა. სკლიაროვი, ნ. ა. სტაშენკოვი, სსრ კავშირის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო, მომარაგების კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები და სამინისტროებისა და უწყებების, ფიზკულტურულ-სპორტული სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. (საკდესი).

# „მაღალი საზოგადოებისაკენ“ გზა ხსნილია

(დასასრული)

რეზობაში საბჭოთა სპორტსმენთა ბრწყინვალე გამოსვლას. კალგარის სარბიელზე საბჭოთა ოლიმპიელთა წარმატებაც და იბა-ს რიგებში სსრ კავშირის შესვლაც, კანადისა და აშშ-ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აზრით, თვალსაჩინო შედეგია სპორტის სფეროში გარდაქმნისა, რაც იმ პროცესის ნაწილია, მთლიანად ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს რომ შეეხო.

ასეთი მიდგომა მოვლენათა შეფასებისადმი მართებულია. ავიღოთ, მაგალითად, ბეისბოლი. მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს არის არა მარტო უბრალოდ სპორტის სახეობა, არამედ თავისუფალი დროის აქტიური და ჯანსაღი გამოყენების შესანიშნავი ფორმაც, თამაში, რომელმაც ერთდროულად შეიძლება გაიტაცოს ბავშვებიც, მათი მშობლებიც და მშობლების მშობლებიც. განა ეს სწორედ ის არ არის, რაც ჩვენ გვჭირდება?

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ჩვენში თავისთავად გაჩნდება ათეულობით ბეისბოლის მინდორი თუ სხვა სპორტული მოედანი. ჩემი აზრით, მათი ბედი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, მიაქცევენ თუ არა სათანადო ყურადღებას ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მსხვილ სამრეწველო საწარმოებში. არსებობს ერთი ასეთი ცნება — „სპონსორი“. დასავლეთში მას ჩვეულებრივ იყენებენ იმ ფირმისა თუ კომპანიის აღსანიშნავად, რომელსაც რეკლამის მიზნით გარკვეული ფინანსური წვლილი შეაქვს გუნდების მომზადებასა და შენახვაში, ამა თუ იმ შეჯიბრების ჩატარებაში. ეს, ალბათ, ჩვენც გვჭირდება. ოღონდ სპონსორობის მიზანი უნდა იყოს არა საკუთარი პროდუქციის რეკლამა, არამედ — მშრომელთა ჯანმრთელობა, საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტის პოზიციების განმტკიცება.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში ბეისბოლზე ნაკლები პოპულარობით არც სოფტბოლი სარგებლობს — თამაში, რომელიც ჰგავს ბეისბოლს, მაგრამ რამდენადმე გამარტივებული წესებით და უფრო მცირე ზომის მოედნებზე ტარდება. ჩემი აზრით, იგი უნდა მოეწონოთ ჩვენს ქალიშვილებს. გარდა ამისა, სოფტბოლი ნორჩ ბეისბოლისტთათვის შესანიშნავი სკოლა და მზადების ერთ-ერთი ეტაპია. სიტყვამ მოიტანა და, როცა ბავშვებზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ იბა-ს აღმასკომის სხდომამ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩაებას საბჭოთა კავშირი ეგრეთ წოდებული „ლითლ ლიგის“ მუშაობაში, — ორგანიზაციისა, რომელმაც თავის თავზე აიღო მზრუნველობა ბეისბოლის მომავალ ოსტატთა ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე მსოფლიო მასშტაბით.

დასასრულს, რამდენიმე სიტყვა ჩვენს გეგმებზე. 1988 წლის განმავლობაში დაგეგმილია ჩატარდეს სერია საკავშირო ტურნირებისა, რომელთაგან პირველი აპრილში მოეწყობა ტაშკენტში. შემდეგ ბეისბოლისტთა ბრძოლების ნახვის შესაძლებლობა მიეცემათ კიევის, მოსკოვის, ლენინგრადის, კაუნასის, თბილისის, ილიჩოვსკისა და სხვა ქალაქების სპორტის მოყვარულებს. მაისში საბჭოთა კავშირის ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრება კუბაში და იქვე მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო თამაშებში. ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში ჩამოვლენ სპეციალისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შვეციიდან და კუბიდან. ისინი აქ მეცადინეობებს ჩაატარებენ საბჭოთა მწვრთნელებთან. სტუმრად ველით ნორჩ ბეისბოლისტთა ჯგუფს ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მთლიანობაში კი წლევანდელი სეზონისათვის ჩვენი ამოცანაა ყველა პირობა შევქმნათ საიმისოდ, რომ 1989 წელს ჩატარდეს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ბეისბოლში.

**საუბარი ჩაიწერა ა. რატნერმა.**
**„სოვეტსკი სპორტი“, 19 მარტი, 1988 წ.**

**რედაქციისაგან: ჩვენს ქვეყანაში ბეისბოლის განვითარებისათვის შეუფერხებლად ხორციელდება პრაქტიკული ღონისძიებები. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ სულ ახლახანს აშშ-ში გამოცდილების შესაძენად ჩვენმა ფედერაციამ მიავლინა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. არბატოვი და თბილისელი მწვრთნელი გ. ჩიხრაძე. ამ ვიზიტის შესახებ ჩვენს მკითხველებს ვრცლად მოვუთხრობთ „ლელოს“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.**



# უძლიერესებში — მეორე

20 წლის თბილისელმა ხმლით მოფარიკავემ აკაკი მახარაძემ II ადგილი დაიკავა საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც ფრუნზეში ჩატარდა. ნებისმიერი ახალგაზრდა მუშკეტერისთვის საკავშირო შეჯიბრების პრიზიორობა კი არა, საერთო ფინალში — რვა უძლიერესს შორის მოხვედრა უკვე დიდი მიღწევაა. მახარაძის წარმატება, მართლაც, სასიამოვნო სიურპრიზია, თუ გავითვალისწინებთ რა დიდი კონკურენციაა ხმლით ფარიკაობაში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს შორის. აკაკი მახარაძე (პროფკავშირები) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს და მამის, გოდერძი მახარაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

საქართველოს სხვა სპორტსმენების გამოსვლის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

### საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ბოლო ტური გადაწყვეტს

**დასასრულს** უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. ბოლოსწინა, XVI ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების — ციალა ქასოშვილისა და სოფიკო ნიკოლაძის შეხვედრა, სადაც თეთრებმა დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს. ბრძოლა ძირითადად ლაზიერის ფრთაზე მიმდინარეობდა. ქასოშვილმა მიტელშპილში პაიკი მოიგო, რის შემდეგაც გამოცდილ ოსტატს არ გასჭირვებია პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

ქეთევან კახიანს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს ალა ჩაიკოვსკაიასთან შეხვედრაში და ამიტომაც იყო, რომ მან დებიუტში აქტიური თამაში წამოიწყო. გარდაბნელმა ოსტატმა პაიკებით გადაკეტა ცენტრი და დაიწყო რთული მანევრული ბრძოლა. კახიანმა თავისი ფიგურები ლაზიერის ფრთაზე გადაისროლა და 30. c5 სვლით თამაში გახსნა. მრავალმხრივი გაცვლების შემდეგ თეთრებმა პაიკი მოიგეს, თუმცა თითო ეტლისა და მხედრების ენდშპილში მისი გამოყენება არც ისე იოლი იყო. კახიანი ზუსტად თამაშობდა. კრიტიკულ სიტუაციაში ჩაიკოვსკაიამ შეცდომა დაუშვა და გარდაუვალი შამათის გამო თავი დამარცხებულად ცნო.

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ოსტატმა თამილა მესხმა. მან ამ ტურში თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნინო გელავა დაამარცხა.

მეტოქეებმა ესპანური პარტიის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს. თეთრები დებიუტშივე დაეუფლნენ ინიციატივას და მეტოქის მეფის ფრთაზე შეტევა წამოიწყეს. გელავამ პაიკი დათმო, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მრავალმხრივი მუქარების მოგერიება, შემდეგ კი მეორე პაიკი დაკარგა და დამარცხდა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ფახიროვა-ხუციშვილი — 0:1, ხარლამიდი-თვაური — 0,5:0,5, ტერელაძე-კახაბრიშვილი — 0,5:0,5, ხურციძე-კემულარია — 0,5:0,5.

ამ ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას ნინო მელაშვილმა დაამარცხა თავისი და — ქეთევანი, ლია სადუნიშვილმა სძლია, თამარ ხუგაშვილს, ციცინო კახაბრიშვილისა და თამილა მესხის XV ტურში გამოტოვებული პარტია 61-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

16 ტურის შემდეგ 12,5 ქულით კვლავ გორელი ოსტატი ციალა ქასოშვილი ლიდერობს, მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ქეთევან კახიანი (გარდაბანი), შემდეგ მოდიან: თამილა მესხი (ქუთაისი), ნინო მელაშვილი (თბილისი) — 10,5-10,5, სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 9,5, ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი), ლია სადუნიშვილი — 9-9, ქეთევან მელაშვილი, იამზე თვაური (ყველა — თბილისი) — 8,5-8,5.

ამრიგად, ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურიღა დარჩა, მაგრამ უკვე გაირკვა, რომ ჩემპიონის სახელისთვის მხოლოდ ორნი — ციალა ქასოშვილი და ქეთევან კახიანი იბრძოლებენ და მაშასადამე ყველაფერს მხოლოდ ბოლო ტური გადაწყვეტს.

**ვასილ ვაშაკიძე.**

### გუშინ...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. ბოლო, XVII ტურში გორელმა ოსტატმა ციალა ქასოშვილმა შავი ფიგურებით დაამარცხა ქეთევან მელაშვილი და 13,5 ქულით რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

**პარიზი.** დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენები მესამე ადგილისთვის ბრძოლაში უნგრეთის ეროვნულ ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 5:2. სამი მოგებით აღინიშნა თავისი გამოსვლა ჩვენი გუნდის ლიდერმა ანდრეი მაზუნოვმა. მეოთხე და მეხუთე ქულა საბჭოთა ნაკრებს დმიტრი მაზუნოვმა და ბორის როზენბერგმა მოუტანეს. ქალთა ტურნირში ოქროს მედლები საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

**ნიუ-იორკი.** სამი კვირაც და დამთავრდება ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონატი, რომელშიც იბრძვის კანადისა და აშშ-ს 21 კლუბი. მეტოქეებს ჩასატარებელი დარჩათ 7-8 მატჩი. და გამოვლინდება 16 უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიონალთა მთავარ პრიზს — „სტენლის თასს“ გაითამაშებენ. საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის უფლება უკვე მოიპოვეს: კალგარის, მონრეალის, ედმონტონის, დეტროიტის, ბოსტონის, ვაშინგტონის, ფილადელფიისა და „ნიუ-იორკ აილენდერსის“ კლუბებმა. ჩემპიონატს ჯერჯერობით ლიდერობს „კალგარი ფლეიმზი“.

### ტელეტაიპი — მკითხველი

**მილანი.** იტალიელმა პროფესიონალმა ველოსიპედისტმა ფრანჩესკო მოზერმა განაცხადა, რომ მაისში შეეცდება ერთსაათიან რბოლაში მოყვარულთა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას, რომელიც საბჭოთა ველოსიპედისტს ვიაჩესლავ ეკიმოვს ეკუთვნის და 49.672 კილომეტრს უდრის. სარეკორდო რბოლის ასპარეზად მოზერმა შტუტგარტის ტრეკი დაასახელა.

**ბონი.** გფრ-ის კალათბურთელ ქალთა უძლიერესი კლუბი „აგონ-08“ (დიუსელდორფი), რომელიც წლეულს მეათედ მონაწილეობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ ტურნირში, კვლავ ქვეყნის ჩემპიონი გახდა. სუპერფინალურ მატჩებში მან სამჯერ დაამარცხა „ბრემერ-ტვ“ ანგარიშით 83:72, 79:66 და 102:67.

**ჰერტოგენბოსი (ჰოლანდია).** მსოფლიო თასი ცხენოსნობაში (ცხენის გაწვრთნა) 1976 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა კრისტინა შტიუკელბერგერმა მოიგო. ამ შეჯიბრებაში პირველად გამოვიდა საბჭოთა მხედარი კიეველი იური კოვშოვი, რომელსაც საერთო ჯამში მეათე ადგილი ხვდა წილად.

# ორი საერთაშორისო მატჩი

**ახლა,** როცა ბევრი დრო აღარ დარჩა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისა და სეულის ოლიმპიადის გადამწყვეტი მატჩების დაწყებამდე, ფრიად ინტენსიური გახდა საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრება. საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული გუნდების ამხანაგურ შეხვედრებს და ე. წ. სპარინგ-მატჩებს.

საბჭოთა ფეხბურთელებს ამ პერიოდში ორ ფრონტზე უწევთ ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები გუშინ ათენში საბერძნეთის ფეხბურთელებს შეხვდა, ხოლო ოლიმპიურმა ნაკრებმა ალტენბურგში ითამაშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან. ასეთი რანგის ორი ნაკრების ერთდროული შერჩევა და დაკომპლექტება საპასუხისმგებლო ტურნირებისთვის იოლი არაა, მწვრთნელთა არჩევანი საკმაოდ შეზღუდულია, სათანადო კლასის, ძლიერი ფეხბურთელები ესაჭიროება ორივე გუნდს, დიდად პრესტიჟულია ევროპის ჩემპიონატიც და ოლიმპიური თამაშებიც.

საბერძნეთის ნაკრები, შესაძლოა, არც მიეკუთვნება ევროპული ფეხბურთის ელიტას, მაგრამ ამ ქვეყანაში ახლა ძლიერ ფეხბურთელთა ახალი თაობა გამოჩნდა, ამდენად მეტოქის მინდორზე თამაში ძალზე ძნელია.

საბჭოთა ნაკრებმა ბერძენი ფეხბურთელები შარშან შემოდგომით მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე დაამარცხა — 3:0.

გაზეთის დაბეჭდვამდე ცნობილი არ იყო გუშინდელი შეხვედრის შედეგი, რის გამოც მას ვერ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ბერძნებთან ჩატარებული მატჩის შემდეგ ჩვენი ნაკრები დასავლეთ ბერლინში მეტად საინტერესო საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას (30 მარტი-3 აპრილი). იქ ჩვენი მეტოქეები იქნებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინისა და შვეციის გუნდები. მანამდე კი, 27 მარტს, სსრ კავშირის ნაკრებს დაგეგმილი აქვს მატჩი ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან ბრატისლავაში.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები 25 მაისიდან ბოლო შეკრებას გამართავს ევროპის ჩემპიონატის წინ, მზადების ბოლო შემოწმება იქნება ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის ნაკრებთან.

მალე განახლდება ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩები ევროპაში. ჩვენი ოლიმპიელები 6 აპრილს შინ მიიღებენ თურქეთის ნაკრებს, ამდენად, გუშინდელი ამხანაგური შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან ალტენბურგში თავისებური გენერალური რეპეტიცია იყო, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

ევროპის ზონის შესარჩევი ოლიმპიური ტურნირის „ა“ ჯგუფში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 9 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-2 | 6 |
| შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 6 |
| ნორვეგია | 8 | 0 | 5 | 3 | 1-7 | 5 |
| თურქეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-10 | 4 |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.**

**„ჟალგირისი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:1 (2:0).** გოლები: ბუზმაკოვი, პანკრატიევი („ჟალგირისი“), სტუკაშოვი („დინამო“).

გააფრთხილეს დინამოელთა მცველი სკლიაროვი.

დუბლიორები — 5:0.

**„დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ 1:0 (0:0).** გოლი 77-ე წუთზე გაიტანა იაკოვენკომ.

გააფრთხილეს კიეველი კუზნეცოვი და ოდესელები იშჩაკი და მეკარე ჟეკიუ.

დუბლიორები — 2:0.

**„ქაირათი“ — „დნეპრი“ 0:2 (0:0).** გოლები: ჩერედნიკი, ბაგმუტი.

დუბლიორები — 1:2.

**„მეტალისტი“ — „სპარტაკი“ 2:0 (1:0).** ჩემპიონის კარში პირველი ბურთი 45-ე წუთზე გაიტანა დერკაჩმა. „მეტალისტის“ წარმატება მეორე ტაიმის დასაწყისშივე განამტკიცა მოროზოვმა.

გააფრთხილეს ხარკოველთა მოთამაშე რომანჩუკი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, თ. ლაცაბიძე, გ. სეფიაშვილი.

დუბლიორები — 6:0.

**„ტორპედო“ — „შახტიორი“ 2:0 (0:0).** გოლები: გრეჩნევი, რუდაკოვი.

დუბლიორები — 5:0.

**„ლოკომოტივი“ — „არარატი“ 1:0 (0:0).** ბურთი გაიტანა მაზურინმა.

გააფრთხილეს ლოკომოტიველი დოზმოროვი.

დუბლიორები — 5:0.

**„დინამო“ (მინსკი) — „ნეფთჩი“ 3:1 (1:1).** მინსკელთაგან ბურთები გაიტანეს ზიგმანტოვიჩმა, შალიმომ და გოცმანოვმა. სტუმართაგან—ჯავადოვმა.

გააფრთხილეს დინამოელი ზიგმანტოვიჩი და ბაქოელი ჰუსეინოვი.

დუბლიორები — 1:0.

◎ **ჩემპიონატის** მესამე ტურში სულ 24 ბურთია გატანილი, აქედან 16 გაიტანეს მასპინძლებმა და 8 — სტუმრებმა.

◎ **ტურის** 7 მატჩი მოიგეს მასპინძლებმა და მხოლოდ ერთი — სტუმრებმა. სულ გათამაშების დაწყებიდან მასპინძლებმა მოიგეს 17 მატჩი და მხოლოდ 2 წააგეს, 4 თამაში ფრედ დამთავრდა.

◎ **ბომბარდირთა** დავაში დაწინაურდა „ზენიტის“ თავდამსხმელი დმიტრიევი, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა, 3-3 გოლია თბილისელი გურულისა და მისი მოსკოველი თანაკლუბელის ბოროდიუკის აქტივში.

◎ **თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელმა ზ. სვანაძემ ლენინგრადის „ზენიტთან“ თავისი მე-200 მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში.

◎ **მოსკოვის** „ტორპედო“ ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჩემპიონატში არც ერთი ბურთი არ გაუშვია, ხოლო ალმა-ათის „ქაირათს“, პირიქით, 3 მატჩში ჯერ არც ერთი ბურთი არ გაუტანია.

◎ **მეტოქეთა** კარში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა (შესაბამისად 9 და 8), მაგრამ სწორედ ამ გუნდებმა გაუშვეს ყველაზე მეტი გოლებიც (7-7). რა თქმა უნდა, ამაში დიდი როლი ითამაშა მათ შორის ჩატარებულმა მატჩმა, რომელიც დიდი ანგარიშით (5:4) დამთავრდა.

◎ **მიმდინარე** ჩემპიონატში ერთკვირიანი შესვენებაა, IV ტურის მატჩები გაიმართება 27 და 28 მარტს. თბილისის დინამოელები მოსკოვში შეხვდებიან „ლოკომოტივს“. ტურის ცენტრალური მატჩი კი კიევში შედგება, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შეჯიბრებაბ**

**მდგომარეობა 24 მარტისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| „დინამო“ თბ. | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| „სპარტაკი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 10-7 | 4 |
| „დნეპრი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 4 |
| „ტორპედო“ | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 4 |
| „დინამო“ მ. | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 4 |
| „ჟალგირისი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 7-2 | 4 |
| „ლოკომოტივი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 2 |
| „მეტალისტი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 7-5 | 2 |
| „დინამო“ მნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| „ზენიტი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 2 |
| „შახტიორი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 2 |
| „ჩერნომორეცი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| „არარატი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| „ქაირათი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |
| „ნეფთჩი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

## ფეხბურთი

### საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. გთავაზობთ I ტურის ტექნიკურ შედეგებს.**

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: ონიანი, კერესელიძე („შადრევანი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლი: ბოსტანჯიანი („დინამო“).

**„კოლხეთი“ (ხობი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ბაკურაძე, სამხარაძე, ჩარტია („კოლხეთი“), სოლოღაშვილი, ფხალაძე („არმაზი“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „ივერია“ (ხაშური) 4:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ბესიკ უგულავა, ბადრი უგულავა, ჩხეტიანი, ჯაგოვი („მადნეული“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: მონიავა („სალხინო“), ქვილითაია („სამეგრელო“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).**

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს კ. შანავა („სქური“) და ს. მალიხინი („დურუჯი“).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლი: თიგიშვილი („ბახტრიონი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:0. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).** გოლები: ქობულია, შამათავა (2), როსტობაია („ამირანი“).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: გაბისკირია, ჩიქობავა („ეგრისი“), წითელაშვილი („მეტალურგი“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლები: შეროზია (2), ტიბუა, თუთბერიძე („დინამო“), ა. ჯიოევი („სპარტაკი“).

**„სულორი“ (ვანი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლი: პაიკიძე („სულორი“).

გააფრთხილეს ა. ჯინიკაშვილი („საპოვნელა“).

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩებში დარღვევები, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამ გაფრთხილებებმაც ლაქა დაამჩნიეს სეზონის პირველ მატჩებს. ყოველი სერიოზული დარღვევისთვის ფეხბურთელებთან ერთად პასუხი უნდა აგონ მწვრთნელებმაც. ამიტომ გათამაშებაში მონაწილე თითოეული კოლექტივის ხელმძღვანელობა ამთავითვე უნდა ზრუნავდეს საერთო დისციპლინის გასამტკიცებლად.

**საქართველოს** საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურში კალენდრით დაგეგმილია ხაშურის „ივერიისა“ და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის შეხვედრა ხაშურში. მაგრამ ვინაიდან ხაშურის სტადიონის კაპიტალური რემონტი ჯერ არ დამთავრებულა, „ივერია“ რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩებს სურამის სტადიონზე ატარებს. მაგრამ დიდთოვლობისა და სტიქიური მოვლენათა შედეგად ამ სტადიონზე თამაში ახლა შეუძლებელია, ზემოთ დასახელებული ორი გუნდი ჩემპიონატის პირველი წრის მატჩს ჩაატარებს თბილისში, ხოლო მეორე წრისას — „ივერიის“ მინდორზე.

ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და „ივერია“ 27 მარტს ითამაშებენ ოქროყანის სპორტული ბაზის მინდორზე, დასაწყისი 15 საათზე.

# I ლიგის თასზე

**სოჭის, მაიკოპის, ნოვოროსიისკისა და სიმფეროპოლის სტადიონებზე მიმდინარეობს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება I ლიგის გუნდებისთვის. ეს შეჯიბრება წლეულს პირველად იმართება.**

ტურნირის მონაწილენი დაყოფილი არიან 4 ჯგუფად. **პირველ ჯგუფში,** რომლის მატჩები სიმფეროპოლში იმართება, გამოდიან: „დაუგავა“ (რიგა), „დინამო“ (ბათუმი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), ასკ „კარპატი“ (ლვოვი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი); **მეორე ჯგუფის** შემადგენლობაში (სოჭი) თამაშობენ: „გურია“ (ლანჩხუთი), „კოლოსი“ (ნიკოპოლი), „კოტაიკი“ (აბოვიანი), „პამირი“ (დუშანბე), ცსკა, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი). ლიგის დანარჩენი გუნდები გამოდიან სხვა ჯგუფებში, მათთან ერთად კონკურსგარეშე თამაშობენ ჰიკ-ი (ფინეთი), „ორგრიტე“ (შვეცია), აგრეთვე, „სოკოლი“ (სარატოვი) და „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი).

ჩვენმა გუნდებმა ჩაატარეს 2-2 მატჩი. ბათუმის დინამოელებმა ფრედ ითამაშეს ლვოვის ასკ „კარპატისთან“ — 0:0 და წააგეს რიგის „დაუგავასთან“ — 0:1. „გურიის“ შეხვედრა ცსკა-სთან დამთავრდა ფრედ — 0:0, შემდეგ კი ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:2 დაამარცხეს ნიკოპოლის „კოლოსი“.

ჯგუფურ შეჯიბრებათა გამარჯვებულები ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან 30 ივნისს, ფინალური მატჩი კი 12 ნოემბერს გაიმართება.

## ფეხბურთი

**მადრიდი.** ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში მადრიდის „რეალმა“ თავის მინდორზე სასტიკი მარცხი განიცადა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ შეხვედრაში — 0:4. ახლა გათამაშების 29-ე ტურში, ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, თამაში მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულად, მწვავედ, „ატლეტიკომ“ 10 მოთამაშით დაამთავრა მატჩი, ვინაიდან მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი პორტუგალიელი ფუტრე, რომელიც ახლა ყველაზე ძვირად ფასობს ევროპის საფეხბურთო ბაზარზე, მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. „რეალმა“ რევანში აიღო ანგარიშით 3:1, „ატლეტიკოს“ კარში ბურთები გაიტანეს გორდილიომ, ბუტრაგენიომ და სანჩესმა.

აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი ბოლო აღმოჩნდა „ატლეტიკოს“ მწვრთნელის ცნობილი არგენტინელი სპეციალისტის ლ. ს. მენოტისთვის, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობამ მატჩის დამთავრებისთანავე გაათავისუფლა თანამდებობიდან.

**რომი.** 4 ქულით უსწრებს ძირითად კონკურენტებს იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „ნაპოლი“. ამ გუნდმა 23-ე ტურში იოლად დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „კომო“. მეორე ადგილზე მყოფ „მილანს“ 34 ქულა აქვს. „ნაპოლის“ საუკეთესო ფეხბურთელები არგენტინელი მარადონა და ბრაზილიელი კარეკა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები არიან.

**ლისაბონი.** პორტუგალიის ჩემპიონატში უკვე 26-ე ტურის მატჩები ჩატარდა და ჯერჯერობით წაუგებლად თამაშობს „პორტო“. ამ გუნდმა სულ 6 მატჩი დაამთავრა ფრედ, დანარჩენები კი მოიგო. განვლილ ტურში „პორტომ“ ანგარიშით 1:0 მოუგო „სეტუბალს“ და ახლა 46 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა „ბენფიკა“ (38 ქულა), რომელმაც ფრედ (1:1) ითამაშა „შავიშთან“.

**ჰააგა.** 27 ტურის შემდეგ ჰოლანდიის ჩემპიონატში დაწინაურდა „ეინდჰოვენი“. ლიდერს 48 ქულა აქვს, მეორე ადგილზე მყოფ „აიაქსს“ კი 40. განვლილ ტურში „ეინდჰოვენმა“ ანგარიშით 3:1 დაამარცხა „ვილემი“, ხოლო „აიაქსმა“ — „ფორტუნა“ — 4:0.

**ბრიუსელი.** მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ჩემპიონის წოდებისთვის ბელგიის ჩემპიონატში. ტურნირი დასასრულს უახლოვდება (დარჩა 8 ტური), ქულათა თანაბარი რაოდენობა კი აქვთ „ბრიუგეს“, „მეხელენს“ და „ანტვერპენს“ — 39-39.



**მსოფლიო** ჩემპიონი არგენტინელი ხორხე ვალდანო, დაავადებულია ჰეპატიტით და ჯერ არ თამაშობს მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში. ამით ისარგებლა არგენტინის ფედერაციამ, რომელმაც მასთან გააფორმა კონტრაქტი 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩების ტელერეპორტაჟების თაობაზე.

**ჰოლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა რინუს მიხელსმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იგი გფრ-ში გადავა და იქ შეცვლის ლევერკუზენის „ბაიერის“ ახლანდელ მწვრთნელს ერიჰ რიბეკს.

**იუგოსლავია** ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ფეხბურთელთა ექსპორტით. მაგრამ აი, ბელგრადის „პარტიზანმა“ გადაწყვიტა თავად შეიძინოს უცხოელი ფეხბურთელები: ორი მათგანის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენია — ჩინელები ლუი ჰაი ნანგი და იუ ჰიკუ ანი.

**ბულგარეთის** ნაკრების მწვრთნელს ბორის ანგელოვს ახალი ასისტენტი ჰყავს. ეს გახლავთ საბჭოთა სპეციალისტი ოლეგ ბაზილევიჩი, რომელიც კარგა ხანს მუშაობდა კიევის „დინამოში“ ვალერი ლობანოვსკისთან ერთად.

**იტალიის** „ასკოლის“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ვალტერ კასაგრანდემ რამდენიმე დღე დაჰყო თავის სამშობლოში და... თავის მეგობარ სიდნეისთან და მომღერალ ოსიმარ ოლივეირასთან ერთად დააპატიმრეს. მანქანაში, რომელშიც ისინი ისხდნენ, მარიხუანის დიდი პარტია აღმოჩნდა. პოლიციამ ბრალდება მომღერალს წაუყენა, ფეხბურთელები კი გაათავისუფლა, თუმცა, როგორც იტალიის პრესა აღნიშნავს, კასაგრანდე ერთხელ უკვე შემჩნეული ყოფილა კოკაინით ვაჭრობაში (1982 წელს).

**დიდი ბრიტანეთის** მწვრთნელთა შორის რეკორდსმენად ითვლება 59 წლის შოტლანდიელი ტომი დოჰერტი, რომელიც სხვადასხვა დროს ავარჯიშებდა: „ჩელსის“, „როთერჰემს“, „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ (ორჯერ), „ასტონ ვილას“, „ჰალს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „დერბის“, „პრესტონ ნორს ენდს“, „ვულვერჰემპტონს“; „პორტოს“, „სიდნეი ოლიმპიკს“, შოტლანდიის ნაკრებსა და სამოყვარულო კლუბ „ოლტრინჰემს“.

**საქ. ინფორმაცია.**

# გულშემატკივართა საყურადღებოდ!

**საქართველოს** ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარ რედაქციაში ფეხბურთის მოყვარულთა უამრავი წერილი შედის, რომელშიც დაჟინებით ითხოვენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის დინამოელთა მატჩების რეტროსპექტიულ ჩვენებას. რედაქციამ ანგარიში გაუწია ტელემაყურებლების თხოვნას და შაბათ-კვირისთვის ორი საინტერესო გადაცემა დაგეგმა.

26 მარტს 20 საათსა და 30 წუთზე ნაჩვენები იქნება 1981 წლის ტურნირის მეოთხედფინალური მატჩი „ვესტ ჰემსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის, რომელიც ლონდონში ჩატარდა.

27 მარტს 13 საათსა და 35 წუთზე კი ტელემაყურებლები ნახავენ ამავე ტურნირის ნახევარფინალურ შეხვედრას თბილისის „დინამოსა“ და როტერდამის „ფეიენოორდს“ შორის.

აპრილის პირველ ნახევარში (რიცხვსა და დროს მოგვიანებით შეგატყობინებთ) დაგეგმილია ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის („დინამო“ — „კარლ ცეისი“) ჩვენება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასის გათამაშება სასტენდო სროლაში

# პროგნოზის გამოთქმა ნაადრევია

**მესტენდურეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე უფროსთა შორის, როგორც წესი, თბილისელები იმარჯვებენ, ხოლო რაიონების წარმომადგენლები პირველ ყოვლისა კი მახარაძისა და ზუგდიდის გუნდები, სადაც ჯერ მხოლოდ ახალგაზრდა მსროლელთა ჯგუფები ჰყავთ, იუნიორთა ტურნირებში ცდილობენ რევანშის აღებას და, როგორც ბოლო ხანს ირკვევა, ხშირად წარმატებასაც აღწევენ. დრო ახალგაზრდების წისქვილზე ასხამს წყალს, თუ რეგიონების სპორტ სმენებმა შეინარჩუნეს შედეგების ზრდის ეს ტენდენცია, ახლო მომავალში სასტენდო სროლაში მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდება.**

საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელსაც ვარკეთილის სამონადირეო საზოგადოების სასროლეთმა უმასპინძლა, ეს ტრადიცია არ დარღვეულა. უფროსებს შორის ადგილიდან სროლაში მაღალი შედეგით გაიმარჯვა თბილისელმა არჩილ საბედაშვილმა (მწვრთნელი ზურაბ მაჩხანელი). მან ძირითად სერიებში 195 ქულა მოაგროვა, შემდეგ უშეცდომოდ ჩაატარა ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი და 220 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. საბედაშვილის შედეგი ერთი ქულით ჩამორჩება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს, თუმცა დინამოელმა მსროლელმა ეს წოდება ადრინდელ შეჯიბრებებში დაიმსახურა.



არჩილ საბედაშვილი

იუნიორთა შორისაც თბილისელი სერგეი ანდრეევი პირველობდა (ასკ, მწვრთნელი გელა სიმონიანი) — 188 ქულა 200 შესაძლებლიდან.

მრგვალ სტენდზე სროლაში მონაწილეობა არ მიუღია სპორტის დამსახურებულ ოსტატს თამაზ იმნაიშვილს. უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის დინამოელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გია შენგელია (მწვრთნელები ზურაბ მაჩხანელი და ტარიელ ქლენტი) —217 ქულა (194+23). სამაგიეროდ იუნიორთა შორის აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა მახარაძელმა ალექსანდრე ერქომაიშვილმა (პროფკავშირი, მწვრთნელი ზურაბ მეგრელაძე), რომელმაც 182 თეფში დაამსხვრია და მთელი 8 ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქე.



გია შენგელია

ცალკე უნდა ითქვას ერქომაიშვილის თანატოლებზე, ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატებზე. ეჭვს არ იწვევს, რომ ამ გუნდის წევრები იქნებიან ერქომაიშვილი და თბილისელი ლაშა ქიმმარეიშვილი. სხვებმა კი ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ თავიანთი მზადყოფნა შესარჩევ შეჯიბრებებში. ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებამდე სამიოდე თვე დარჩა, ახლა თითქოს ჭოჭმანის დრო არ უნდა იყოს, მაგრამ სარწმუნოა ისიც, რომ დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში იქნებიან მეტოქეთა გუნდების მწვრთნელებიც: შეჯიბრებისთვის ყველა ამზადებდა ძირითადად 1969 წელს დაბადებულ მესტენდურეებს, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ დებულება მოულოდნელად შეიცვალა და ახლა ჭაბუკთა თამაშებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1970 წელს დაბადებულ და მათზე უმცროს მსროლელებს ეძლევათ. ამ ასაკის ჭაბუკთა შორის კი ჯერ ერთი საკავშირო ტურნირიც არ გამართულა. ამიტომ ნორჩ მსროლელთა შესაძლებლობების ზუსტად შეფასება, ისევე როგორც რაიმე პროგნოზის გამოთქმა ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისათვის, ძნელი საქმეა.

**გიორგი პავლიაშვილი.**

**შდ3** ქვარცხლბექი

**ადგილიდან სროლა.** 1. ა. საბედაშვილი — 220 ქულა; 2. ზ. კობიძე (თბილისი, სამონადირეო საზ.) — 217; 3. შ. ჯინიკაშვილი (თბილისი, ასკ) — 214.

**იუნიორები.** 1. ს. ანდრეევი — 188; 2. დ. თორუა (ზუგდიდი, „დინამო") — 183; 3. მაია გუბიევა (თბილისი, ასკ) — 180.

**მრგვალი სტენდი.** 1. გ. შენგელია — 217; 2. დ. ქვათაძე (თბილისი, „დინამო") — 212; 3. დ. მანჯგალაძე (თბილისი, პროფკავშირი) — 208.

**იუნიორები.** 1. ა. ერქომაიშვილი — 182; 2. ზ. ბარათაშვილი (თბილისი, ასკ) — 174; 3. ჯ. გაბელია (ზუგდიდი, „დინამო") — 173.

**გუნდური.** 1. თბილისი — 1636; 2. მახარაძე — 1485; 3. ზუგდიდი — 1437. შეჯიბრებაზე გაურკვეველი მიზეზის გამო არ გამოცხადდნენ ბათუმელი მსროლელები.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**19 მარტი. „სინათლე" (თბილისი) — რუსთავი 104:109 (52:51).**

**„სინათლე":** გურასპაული (29), სინჯარაძე (23), ღონღაძე (21), ქორქია (9), ძიძავა (7), ჩაჩხიანი (7), ძიძიგური (6), კობახიძე (2).

**რუსთავი:** ჰანტურიძე (39), ქობულაძე (20), ბარამიძე (12), ჰეიშვილი (12), კეჰაყმაძე (11), აბზიანიძე (8), კიკვიძე (5), მიქიაშვილი (2).

**20 მარტი. „სინათლე" (თბილისი) — რუსთავი 122:89 (62:45).**

**„სინათლე":** გურასპაული (28), სინჯარაძე (24), ქორქია (19), ღონღაძე (15), ძიძავა (13), ლეონტიევი (11), ჩაჩხიანი (8), ძიძიგური (2), კობახიძე (2).

**რუსთავი:** ქობულაძე (33), მიქიაშვილი (11), კეჰაყმაძე (10), კიკვიძე (9), ხაიაური (9), ჰანტურიძე (9), ჰეიშვილი (4), კერესელიძე (2), აბზიანიძე (2).

**19 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 140:81 (72:40).**

**ფიზკ. ინსტ:** კობეშავიძე (29), უძილაური (22), დადიანი (21), ჩერქეზიშვილი (18), ფერიაშვილი (15), ტომარაძე (9), დათიკაშვილი (9), ლიპარტელიანი (7), მოველიძე (4), მაისურაძე (2), ჩაჩანიძე (2), ხომერიკი (2).

**„დინამო":** გრძელიშვილი (17), იასაშვილი (14), კოკოლიშვილი (14), ცისკარიშვილი (10), ამაშუკელი (7), ქორფაშვილი (7), მაჰავარიანი (6), კუტიბაშვილი (3), დემეტრაშვილი (3).

**20 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 129:79 (60:32).**

**ფიზკ. ინსტ:** დადიანი (31), ფერიაშვილი (16), უძილაური (15), დათიკაშვილი (14), მაისურაძე (12), ჩერქეზიშვილი (11), ტომარაძე (11), კობეშავიძე (10), მოველიძე (5), ხომერიკი (4).

**„დინამო":** ცისკარიშვილი (17), ქორფაშვილი (16), ჭაბუკიანი (12), იასაშვილი (12), კუტიბაშვილი (7), ამაშუკელი (5), გრძელიშვილი (5), კოკოლიშვილი (5).

**19 მარტი. უნივერსიტეტი (თბილისი) — ბათუმი 123:59 (59:27).**

**უნივერსიტეტი:** რევაზიშვილი (19), გურაშვილი (19), ჯაფარიძე (17), ახვლედიანი (16), ტალაბაძე (13), ხუხაშვილი (11), დვალი (8), აბულაშვილი (8), შარაშენიძე (7), დონაძე (5).

**ბათუმი:** დიხამიძე (16), შერვაშიძე (13), ზოიძე (7), მეტრეველი (6), ქლენტი (4), დუმბაძე (4), ბალათურია (3), ბარამიძე (2), ინაშვილი (2), შვეცოვი (2).

**20 მარტი. უნივერსიტეტი (თბილისი) — ბათუმი 102:60 (53:36).**

**უნივერსიტეტი:** ტალაბაძე (26), ბარადაჩოვი (14), ხუხაშვილი (12), ახვლედიანი (10), აბულაშვილი (10), რევაზიშვილი (9), დონაძე (6), შარაშენიძე (5), გურაშვილი (4), დვალი (3), ჯაფარიძე (3).

**ბათუმი:** ქლენტი (18), შერვაშიძე (14), ზოიძე (10), მეტრეველი (5), ბალათურია (5), დიხამიძე (4), ბარამიძე (2), ჩიხრაძე (2).

**19 მარტი. თელავი — სოხუმი 72:86 (25:52).**

**თელავი:** მესტვირიშვილი (27), შიროკოვი (13), ვარდიაშვილი (10), არჯევანიძე (8), მჭედლური (4), ბრაგვაძე (3), ამონაშვილი (3), წიქარიშვილი (2), დალაქიშვილი (2).

**სოხუმი:** სულავა (23), ჭითავა (14), ზარქუა (14), პირველი (14), სუშჩენკო (8), ჯგერენაია (6), გაფრინდაშვილი (5), ბალათურია (2).

**20 მარტი. თელავი — სოხუმი 89:103 (47:49).**

**თელავი:** ვარდიაშვილი (33), მჭედლური (19), მესტვირიშვილი (16), ბრაგვაძე (8), არჯევანიძე (7), შიროკოვი (6).

**სოხუმი:** სულავა (37), ჭითავა (19), სუშჩენკო (12), ზარქუა (11), პირველი (11), გაფრინდაშვილი (8), ბალათურია (5).

**19 მარტი. გორი — ქუთაისი 67:99 (25:57).**

**გორი:** ღლონტი (26), ცაგარეიშვილი (15), თორთლაძე (12), ზამთარაძე (8), სხიერელი (6).

**ქუთაისი:** ვაშაკიძე (34), ანდღულაძე (16), ხუჯაძე (14), ხაბულიანი (13), გოგსაძე (10), კალანდაძე (6), დარსაძე (3), აფრიდონიძე (3).

**20 მარტი. გორი — ქუთაისი 84:85 (41:45).**

**გორი:** თორთლაძე (26), ზამთარაძე (19), ღლონტი (13), ჯომარჯიშვილი (11), ცაგარეიშვილი (8), ჩიბალაშვილი (4), სხიერელი (3).

**ქუთაისი:** ვაშაკიძე (34), ანდღულაძე (18), დარსაძე (16), გუბელაძე (6), ხაბულიანი (6), გოგსაძე (5).

# ჩემპიონატი განახლდა

**კაუნასი.** განახლდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ პირველ შეხვედრათა შედეგებს: ცსკა — სპი (თბილისი) 28:20, სკიფ-ი—მაი 26:22, ასკ (კიევი) — „პოლიოტი" 31:21, ასკ (მინსკი) — კაუსტიკი 26:18, „გრანიტასი" — „დინამო" (ასტრახანი) 23:23, „ნევა" — ზიი (ზაპოროჟიე) 26:25.



# პირველი სტარტები

**დოსააფის** რესპუბლიკურ სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე ჩატარდა კარტინგისტთა რესპუბლიკური პირველობა „სეზონის გახსნის" პრიზზე. სტარტზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, ბოლნისის, რუსთავისა და ახალციხის მრბოლელები. „პიონერის" კლასში (მონაწილეთა ასაკი 9-14 წელი) 1300 მეტრიან ტრასაზე პირველი იყო თენგიზ მინასიანი; „იუნიორისაში" (14-18 წელი) გაიმარჯვა დათო ხარებოვმა; „სოიუზის" კლასის კარტინგებით რბოლაში კი (ნებისმიერი ასაკი) პირველობა არავის დაუთმო ვალერი ხითარიანმა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რესპუბლიკის სპორტულ-ტექნიკური კლუბის კოლექტივმა.

**ზურაბ მგალობლიშვილი.**

ავტორის ფოტო.

# ინსტიტუტს შესწორება შეაქვს

„ლელოს" 22 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს შეაქვს შესწორება — „ფიზიოლოგიის კათედრის მასწავლებლის" ნაცვლად უნდა იყოს — ფიზიოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.

# „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მე-11 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 1.586.345 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (94) მოგებაა 246 მანეთი, 4 ნომრის გამოცნობისთვის (5.015) — 8 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (58.235) — 3 მანეთი.

**„სპორტლოტო 5 36"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 16.143.342 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (53) მოგებაა 9.296 მანეთი, 4 ნომრის გამოცნობისთვის (8.743) — 103 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (257.059) — 4 მანეთი.

# „მშენებელი"—მეოთხედფინალში

რაგბი

**ვანის** „სალხინოს" სტადიონზე დამთავრდა რეგბისტთა საკავშირო თასის 1988 წლის გათამაშების პირველი ეტაპის შეხვედრები პირველი ქვეჯგუფის გუნდებს შორის. აქ უნდა ესპარეზა ექვს კოლექტივს, მაგრამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღეს ნალჩიკისა და კაუნასის გუნდებმა, ამიტომ მეოთხედფინალის ორი საგზური ოთხმა გუნდმა გაითამაშა.

20-21 მარტს გაიმართა დასკვნითი შეხვედრები. ქუთაისის „მშენებელი" ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ უმაღლესი ლიგის კიდევ ერთ წარმომადგენელს — ლენინგრადის „ელექტრონმაშს" (ეს გუნდი შარშან „პრიმორეცის" სახელით გამოდიოდა) შეხვდა. ისე, როგორც ხარკოველებთან შეხვედრაში, ამ მატჩშიც ქუთაისელთა გუნდში ბევრმა ახალგაზრდა რეგბისტმა იასპარეზა. თუ პირველი ლიგის კოლექტივთან მათ თავი არ შეურცხვენიათ, ლენინგრადელთა საკმაოდ გამოცდილ გუნდთან გაუჭირდათ, უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და მალე დაწინაურდნენ კიდეც — 3:0. ეს ანგარიში კარგა ხანს შერჩა ტაბლოს, მაგრამ დებიუტანტების მონდომებამ და თავგამოდებამ თავისი გაიტანა. ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა, ვეტერანებიც ეხმარებოდნენ და პირველი ტაიმის მიწურულს უკვე მასპინძლებმა შეუტიეს. ნევისპირელები რამდენჯერმე დაჯარიმდნენ, ქუთაისელმა რეგბისტებმა ორი დარტყმა ზუსტად შეასრულეს და დაწინაურდნენ — 6:3, თუმცა იგრძნობოდა, რომ მატჩის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. მას შემდეგ კი, რაც თამაშში გუნდის წამყვანი რეგბისტები ჩაებნენ, ყველაფერი „მოწესრიგდა" — მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში „მშენებელი" სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა.

ქუთაისელებმა ორი ლელო გაიტანეს (ნაჭყებია, მარიამიძე), ძაგნიძემ ერთი რეალიზაცია და ორი საჯარიმო გამოიყენა და „მშენებელმა" მესამე გამარჯვება მოიპოვა — 22:3.

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მარიამიძე; ქორქოლიანი, ხარშილაძე, ლიპარტელიანი, ხამაშურიძე; მაჩიტიძე, იობიძე (ლოსაბერიძე); ნაჭყებია, ჭიქაბერიძე (ძაგნიძე), ფხაკაძე, შვანგირაძე, გრიგალავა, ბაბუნაშვილი, თხელიძე (ლილუაშვილი), გაბიძაშვილი.

ამრიგად, „მშენებელმა" სამივე შეხვედრა მოიგო, ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა. ქუთაისელები 25 აგვისტოს შინ მიიღებენ IV ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასულ კოლექტივს.

მეოთხედფინალის მეორე საგზური მოიპოვა ლენინგრადის „ელექტრონმაშმა", რომელმაც უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში ანგარიშით 12:10 დაამარცხა მოსკოვის „ფილი".

შაბათს კიდევ ერთი მატჩი გაიმართა: „ფილიმ" ანგარიშით 10:0 სძლია ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის გუნდს.

**თამაზ ხარაბაძე.**

• • •

**ოშში** მოასპარეზე თბილისელმა რკინიგზელებმა მეორე ტურში დაამარცხეს ალმა-ათის „ისკრა" (44:3) და 6 ქულით ლიდერობენ შეჯიბრებას.

# ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 24 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში (გადაცემა უნგრეთიდან) — **10.00 (1)** და **20.45 (1)**; ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში: საბერძნეთი — სსრ კავშირი (გადაცემა საბერძნეთიდან) — **11.25 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2)**.

**25 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში (გადაცემა უნგრეთიდან) — **10.05 (1)** და **20.45 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 25 მარტი.** სპორტული პროგრამა — **23.55.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 68435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. XII უე 10709